

## სახაზინო სამსახურის

## ინფორმაცია

საქართველოს 2009 წლის იანვარ-დეკემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2009 წლის იანვარ-დეკემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 6 351 317.7 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 4 916 960.0 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 160 342.3 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 227 611.1 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულების ზრდით – 1 046 404.3 ათასი ლარი.

2009 წლის იანვარ-დეკემბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (4 916 960.0 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (4 945 645.4 ათასი ლარი) 99.4%-ი;

მათ შორის:

– გადასახადების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 4 139 200.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 4 161 738.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.5%;

– გრანტების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 463 167.9 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 387 677.6 ათასი ლარი. მათ შორის:

– სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდაჭერის პროექტი – 3 897.4 ათასი ლარი;

– ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 141 927.7 ათასი ლარი;

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 237 551.6 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 4 303.0 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “დაცული ტერიტორიების განვითარება” – 18.6 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 493.2 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 551.3 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხულონის კომპონენტი)” – 897.2 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 435.8 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 1 676.1 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის კომპონენტი” – 204.3

ათასი ლარი; „იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტი” – 26.5 ათასი ლარი.

– საზინის ერთიან ანგარიშზე გრანტების სახაზინო კოდეზზე ჩარიცხული “სხვა თანხები” 0.3 ათასი ლარი.

– გასულ წელს შეცდომით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება (უარყოფითი შემოსავალი) – (-2.4) ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების” საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 343 277.5 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 367 543.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 107.1%.

2009 წლის იანვარ-დეკემბერში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (160 342.3 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (168 000.0 ათასი ლარი) 95.4%.

„ფინანსური აქტივების კლებით” მიღებული შემოსულობების მოცულობამ (227 611.1 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (220 200.0 ათასი ლარი) 102.4%.

„ვალდებულებების” ზრდით მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა – 1 046 404.3 ათასი ლარი, მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტიურად მიღებული იქნა – 259 507.4 ათასი ლარი;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები) მიღებული იქნა – 786 896.8 ათასი ლარი. მათ შორის:

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 97 450.9 ათასი ლარი;

– რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (IDA) – 10 568.0 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2008 წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის” რეტროაქტიულ დაფინანსებას;

– ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 452 502.6 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 226 375.3 ათასი ლარი, მათ შორის: “სოფლის განვითარების პროექტის” კრედიტი – 4 565.4 ათასი ლარი;

“ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 218.7 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 197.6 ათასი ლარი;

„მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 3 604.6 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” – 41 302.3 ათასი ლარი;

“რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 29 796.1 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომარშრუტის მეორე პროექტის კრედიტი – 44 282.0 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის სესხი) – 40 625.1 ათასი ლარი;

„განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 12 658.7 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომარშრუტის მესამე პროექტის კრედიტი –

41 918.5 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი ჯანდაცვის განვითარება“ – 1 565.6 ათასი ლარი. „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პირველი პროექტის კრედიტი – 334.5 ათასი ლარი; „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი – მეორე ფაზა“ – 1 649.1 ათასი ლარი; „ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტი“ – 3 657.1 ათასი ლარი.

ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 328 274.1 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, მოხდა კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში, მათ შორის:

საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 10 339.9 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 5 თებერვლის №66 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში აისახა “საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ: “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” გრანტი – 189.8 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტის” გრანტი – 410.9 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)” – 944.9 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” გრანტი – 1 580.5 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” გრანტი – 303.0 ათასი ლარი; „იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტი” – 336.8 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის” კრედიტი – 33 109.1 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტის (აზიის განვითარების ბანკის სესხი) კრედიტი – 45 821.5 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 53 836.2 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მესამე პროექტის კრედიტი – 93 494.2 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” კრედიტი – 9.0 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” კრედიტი – 114.5 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” კრედიტი – 12 031.3 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტის” კრედიტი – 4 441.5 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი ჯანდაცვის განვითარება“ – 1 830.0 ათასი ლარი (მათ შორის, 163.5 ათასი ლარის შესაბამისი უცხოური ვალუტა, რომელიც ჩაირიცხა სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიშზე, წარმოადგენს ბანკ „რესპუბლიკაში” პროექტის სპეციალურ ანგარიშზე რიცხულ საავანსო თანხის ნაშთს, რომელიც გასული წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებებში ასახული იყო, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით

ნაწილში); „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 2 422.2 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” – 57 787.1 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პირველი პროექტის კრედიტი – 4 717.4 ათასი ლარი; „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი – მეორე ფაზა” – 4 785.4 ათასი ლარი; „ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტი” – 10 108.8 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, სახაზინო სამსახურში დონორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ სახაზინო სამსახურში დეკემბრის თვეში ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი სსიპ-ის მიერ 15 პროექტზე. საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 472 119.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 2009 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთებისა და საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში, შეადგინა 323 336.2 ათასი ლარი. 44 პროექტზე პროექტების განმახორციელებელ სსიპ-ებს არ წარმოუდგენიათ ინფორმაცია გამოყოფილი თანხებისა და საკასო ხარჯების შესახებ.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეძავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2009 წლის იანვარ-დეკემბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში ასახული იქნა, წარმოდგენილობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 3 831.8 ათასი ლარი.

წინა წლების გამოყენებული საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული იქნა 10 855.0 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2009 წლის 1 იანვრისათვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 753 615.5 ათასი ლარი, მ.შ: თავისუფალი ნაშთი – 709 056.6 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად – 2 905.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო კრედიტებით პროექტების დასაფინანსებლად – 554.6 ათასი ლარი; ფულადი სახსრები სხვა მიზნობრივი დანიშნულებით – 1 233.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის – 39 865.3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2010 წლის 1 იანვრისათვის რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 361 969.9 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 353 743.0 ათასი ლარი, ფულადი სახსრები აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის – 2 177.8 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად – 5 757.7 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო კრედიტებით პროექტების დასაფინანსებლად – 291.4 ათასი ლარი.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 391 645.6 ათასი ლარი.

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 68.1 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 4 916 960.0 ათასი ლარის მოცულობით, (გეგმა 4 945 645.4 ათასი ლარი); გადასახდელებმა შეადგინა 5 367 210.0 ათასი ლარი (გეგმა 5 468 219.9 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ 450 250.0 ათასი ლარი (გეგმა 522 574.5 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ზრდით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 907 058.4 ათასი ლარი (გეგმა 967 554.8 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა 160 342.3 ათასი ლარი, (გეგმა 168 000.0 ათასი ლარი).

მთლიანი სალდოს გეგმამ შეადგინა 1 322 129.3 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ კი 1 196 966.1 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერისა და 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების თვეების და კვარტლების მიხედვით განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 9 იანვრის №6 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2009 წლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 6 956 602.8 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 6 272 347.5 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 684 255.3 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 6 781 728.1 ათას ლარზე, მოთხოვნამ შეადგინა 6 755 515.8 ათასი ლარი, გადახდამ კი 6 754 106.8 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 6 184 350.5 ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 569 756.2 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 99.6%, ხოლო გეგმის 97.1%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობა (დავალიანება) შეადგენს 1 409.1 ათას ლარს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2009 წლის იანვარ-დეკემბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 91.6%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 8.4%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 29 დეკემბრის №1307 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენისა და ფულადი სახსრების მართვის წესის შესახებ” ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმების მიხედვით.

“საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-დეკემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: “შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 943 253.8 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 942 899.5 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 941 632.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2009 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 896 660.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 883 838.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 880 467.8 ათასი ლარი, გადახდამ კი 879 897.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.6%-ს და წლიური გეგმის – 98.1%-ს შეადგენს. საგადახდო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობა (დავალიანება) შეადგენს 570.3 ათას ლარს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2009 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 169 192.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 167 480.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 167 177.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.8%-ს და გეგმის – 98.8%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 54 250.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (54 250.8 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 112 926.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (113 229.7 ათასი ლარი) 99.7%-ია.

“სუბსიდიების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2009 წლის გეგმამ შეადგინა 498 691.1 ათასი ლარი, იანვარ-დეკემბერში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 451 473.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 447 342.2 ათასი ლარი, გადახდამ 447 327.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.1%-ს და გეგმის 89.7%-ს შეადგენს. საგადახდო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობა (დავალიანება) შეადგენს 14.3 ათას ლარს.

„გრანტების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2009 წლის გეგმამ შეადგინა 865 506.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 861 218.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (862 035.3 ათასი ლარი) 99.9%-ს და საგეგმო მაჩვენებლის (865 506.2 ათასი ლარი) 99.5%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2009 წლის იანვარ-დეკემბერში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 852 460.0 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (853 269.5 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით 2009 წლის იანვარ-დეკემბერში მოთხოვნამ შეადგინა 1 419 901.9 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა 1 419 901.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 420 342.2 ათასი ლარი) 100%-ს და საგეგმო პარამეტრის (1 424 352.5 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს. მათ შორის, სოციალური დახმარებების სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 412 240.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 412 587.4 ათასი ლარი) 100%-ია. საგადახდო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობა (დავალიანება) შეადგენს 0.1 ათას ლარს.

აღნიშნული მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის გეგმით განესაზღვრა 1 112 802.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 1 112 632.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია. მათ შორის: სახელმწიფო პენსიების

დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 808 406.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – (808 427.0 ათასი ლარი) 100% და გეგმის (808 427.0 ათასი ლარი) 100%-ია. ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 64 965.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 64 964.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (64 965.0 ათასი ლარი) და ვალდებულების (64 965.0 ათასი ლარი) 100%-ია. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად 2009 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 285 043.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 281 240.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.7% და ვალდებულების (281 260.5 ათასი ლარი) 100%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2009 წლის გეგმა განისაზღვრა 670 562.9 ათასი ლარით, იანვარ-დეკემბერში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 654 376.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 650 060.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა – 650 054.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.3%-ს და გეგმის 96.9%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობა (დავალიანება) შეადგენს 6.5 ათას ლარს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 383 405.8 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 386 306.5 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2009 წლის გეგმამ შეადგინა 390 519.8 ათასი ლარი. მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა ვალდებულების 99.2% და საგეგმო მაჩვენებლის – 98.2%. მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 318 744.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (318 749.6 ათასი ლარი) 100% და საგეგმო მაჩვენებლის (318 960.8 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2009 წლის გეგმით განისაზღვრა 967 554.8 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 918 520.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 907 876.3 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა – 907 058.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.8%-ს და გეგმის 93.7%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობა (დავალიანება) შეადგენს 817.9 ათას ლარს.

აღნიშნული მუხლიდან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განესაზღვრა 358 604.2 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 342 903.8 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (334 689.1 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 97.6% და საგეგმო მაჩვენებლის – 93.3%; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2009 წლის გეგმა განისაზღვრა 144 404.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 144 386.4 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (144 383.4 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის – 100%. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2009 წლის გეგმა განისაზღვრა 121 889.5 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 121 867.8 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (121 867.8 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის – 100%.

„ფინანსური აქტივების ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2009 წლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 167 180.4 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 131 743.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 130 842.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.3%-ს და გეგმის – 78.3%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2009 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 353 647.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა

შეადგინა 349 019.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 348 995.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის – 98.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 115 880.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (115 880.2 ათასი ლარი) 100%-ია.

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 233 115.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (233 138.9 ათასი ლარი) 100%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების კუთხით საგეგმო მაჩვენებელს აღემატებოდა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს პროექტი „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა (UNDP)“ (კოდი 08 02 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 93.0 ათასი ლარი; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროექტები: „ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისი პროექტები, (მათ შორის, 2007–2008 წლებში, საქართველო-გერმანიის სამთავრობო შეთანხმებით განსაზღვრული პროექტების მიზნებისათვის და ბიუროს საჭიროებისათვის გადახდილი თანხების ანაზღაურება (კოდი 23 06 05, მუხლი „სხვა ხარჯები“ – 119.5 ათასი ლარი); „საწარმოთა განვითარების პროექტი“ (კოდი 23 06 06 03, მუხლი „სუბსიდიები“ – 1 122.3 ათასი ლარი; მუხლი „სხვა ხარჯები“ – 4.8 ათასი ლარი); “მონიტორინგი და შეფასება” (კოდი 23 06 06 04, მუხლი „სუბსიდიები“) – 356.0 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტი „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი I“ (კოდი 25 03 02 03, მუხლი „სუბსიდიები“) – 37.0 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს პროექტები: “მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – I პროექტი” (კოდი 26 12 01, მუხლი „სუბსიდიები“) – 0.051 ათასი ლარი; “მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – II პროექტი” (კოდი 26 12 02 მუხლი, „სუბსიდიები“) – 0.077 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტები: “რეზისტენტური ტუბერკულოზის მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება საქართველოში” (კოდი 35 20 01 06, მუხლი „სუბსიდიები“ – 21.5 ათასი ლარი; მუხლი „არაფინანსური აქტივები“ – 124.2 ათასი ლარი); “DOS სტრატეგიის სრულყოფა საქართველოში“ (კოდი 35 20 01 03, მუხლი „სუბსიდიები“ – 103.2 ათასი ლარი; მუხლი „არაფინანსური აქტივები“ – 237.0 ათასი ლარი); ენერგეტიკის სამინისტროს პროექტი: „ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი“ (კოდი 36 04 08, მუხლი „არაფინანსური აქტივები“ – 7.0 ათასი ლარი; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პროექტი „ხარაგაულის სათემო ტყის საცდელი პროექტი“, მუხლი „არაფინანსური აქტივები“ – 26.2 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მუხლი „საქონელი და მომსახურება“ – 96.9 ათასი ლარი. ზემოთაღნიშნული პროექტების ანგარშვებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, რომელთა ათვისება ხორციელდებოდა სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა (იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაციის პროექტი დასავლეთ საქართველოში) მომავალში მისაღები გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 96.0 ათასი ლარი.



## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2009 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 6 274 268.4 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 576 993.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 606 619.6 ათასი ლარი) 98%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 292 816.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (301 172.0 ათასი ლარი) 97.2% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 18.6%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 181 919.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (184 109.6 ათასი ლარი) 98.8% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 11.5%; საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 1 016 429.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 035 489.4 ათასი ლარი) 98.2%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში შეადგინა 17 320.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (18 097.3 ათასი ლარი) 95.7%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 868 588.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 867 667.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 13.8%-ი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2009 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 855 730.2 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 853 143.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 13.6%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 551 100.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (552 057.8 ათასი ლარი) 99.8%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 118 248.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (118 280.2 ათასი ლარი) 100%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (70 663.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (71 083.0 ათასი ლარი) 99.4%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 113 016.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (114 195.7 ათასი ლარი) 98.9%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2009 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 820 956.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 767 348.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.5%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (74 425.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (74 247.5 ათასი ლარი) 100.2%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (66 355.5 ათასი ლარი), გეგმის (73 200.7 ათასი ლარი) 90.6% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 28 281.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 27 603.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.6%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 4 331.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4

650.7 ათასი ლარი) 93.1%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 23 630.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 23 272.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.5%. ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 541 816.1 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (502 136.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 92.7%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (58 296.5 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა საგეგმო მაჩვენებლის (64 124.6 ათასი ლარი) 90.9%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა ეკონომიკის სფეროში შეადგინა 30 472.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 764.7 ათასი ლარი) 99%-ია.

გარემოს დაცვის ხაზით 2009 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 29 860.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 28 693.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.1%. გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 4 352.3 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 4 249.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.6%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში განსაზღვრული იყო 18 410.6 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (17 964.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 97.6%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2009 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 365 217.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 331 612.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 5.3%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 39 341.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (38 348.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 97.5%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (102 659.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (106 680.5 ათასი ლარი) 96.2%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 50 655.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (78 546.6 ათასი ლარი) 64.5%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 138 789.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (139 406.6 ათასი ლარი) 99.6%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 137 359.7 ათასი ლარით, რაც 2009 წლის გეგმიური მაჩვენებლის – 138 171.0 ათასი ლარის 99.4%-ს შეადგენს. დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (36 762.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (37 057.6 ათასი ლარი) 99.2%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (41 545.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (42 042.0 ათასი ლარი) 98.8%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 26 438.7 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (26 438.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 100%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 25 659.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 660.3 ათასი ლარი) 100%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2009 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 488 104.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 459 589.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.2% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 7.3%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების დაფინანსების – 331 040.7 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (340 980.4 ათასი ლარი) 97.1%; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 64 830.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (69 299.8 ათასი ლარი) 93.5%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები განათლების სფეროში დაფინანსდა 22 372.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (25 420.0 ათასი ლარი) 88%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით 2009 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1 255 133.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 249 573.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი

მოცულობის 19.9%-ი. ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 9 487.7 ათასი ლარი, ანუ საგვემო მაჩვენებლის (9 564.9 ათასი ლარი) 99.2%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 867 625.2 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 867 599.4 ათასი ლარი, ანუ გვემის 100%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 204 059.9 ათასი ლარი, რაც გვემის (205 703.2 ათასი ლარი) 99.2%-ია; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას დაფინანსდა 93 512.5 ათასი ლარით, რომელმაც შეადგინა გვემიური მაჩვენებლის (94 663.0 ათასი ლარი) 98.8%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა სოციალური დაცვის სფეროში შეადგინა 54 932.1 ათასი ლარი, რაც გვემის (57 263.6 ათასი ლარი) 95.9%-ია.

## საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის 2009 წლის საგვემო მაჩვენებელი განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარით. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 202 შემთხვევაში შეადგინა 49 998.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 49 858.8 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 139.2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის 2009 წლის საგვემო მაჩვენებელი განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 118 შემთხვევაში შეადგინა 48 660.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 47 301.6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2010 წლის პირველი იანვრისათვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 1 358.6 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

## წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 211 499.4 ათასი ლარის ასიგნება („გრანტების“ მუხლით – 9 910.5 ათასი ლარი, „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 201 588.9 ათასი ლარი). აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 7 332.9 ათასი ლარის ასიგნება;

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის გეგმით განისაზღვრა – 10 300.0 ათასი ლარი, აქედან: იუსტიციის სამინისტროს წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად გამოეყო 856.6 ათასი ლარი, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის – 182.9 ათასი ლარი; სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს – 5 711.2 ათასი ლარი; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად „გრანტის” მუხლით – 307.9 ათასი ლარი, ხოლო აუთვისებელი დარჩა – 3 241.3 ათასი ლარი. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წინა პერიოდში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანების დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 192 485.0 ათასი ლარი. აქედან: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს გამოეყო 182 882.4 ათასი ლარი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს მიზნობრივი ტრანსფერის სახით, ვალდებულებების დასაფარავად საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად „გრანტის” მუხლით გამოეყო – 9 602.6 ათასი ლარი. საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად ორგანიზაციებმა ვალდებულებების მუხლით მიმართეს 1 564.5 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების მაჩვენებლები შემდეგია: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 7 112.5 ათასი ლარი (გეგმა – 7 112.5 ათასი ლარი); იუსტიციის სამინისტროს დასაფინანსებლად მიიმართა – 905.9 ათასი ლარი (გეგმა – 906.6 ათასი ლარი); სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დასაფინანსებლად მიიმართა – 109.5 ათასი ლარი (გეგმა – 197.4 ათასი ლარი); საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად – 59.9 ათასი ლარი (გეგმა – 59.9 ათასი ლარი); განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო კვლევების პროგრამების დასაფინანსებლად მიიმართა – 13.9 ათასი ლარი (გეგმა – 13.9 ათასი ლარი); განათლების რესურს-ცენტრების დასაფინანსებლად მიიმართა – 0.6 ათასი ლარი (გეგმა – 0.8 ათასი ლარი); საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოეყო 2.2 ათასი ლარი (გეგმა – 2.2 ათასი ლარი); სახელოვნებო და სასპორტო განათლების ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა – 62.5 ათასი ლარი (გეგმა – 62.5 ათასი ლარი); ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილთა და დევნილთა შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე გამოეყო – 36.4 ათასი ლარი (გეგმა – 36.4 ათასი ლარი); მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად – 237.2 ათასი ლარი (გეგმა – 237.2 ათასი ლარი); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. – სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ადმინისტრაციის დასაფინანსებლად მიიმართა 18.4 ათასი ლარი (გეგმა – 18.4 ათასი ლარი); შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა 1.3 ათასი ლარი (გეგმა – 1.3 ათასი ლარი); ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს დასაფინანსებლად 70.0 ათასი ლარი (გეგმა – 70.0 ათასი ლარი); გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად – 6.7 ათასი ლარი (გეგმა – 6.7 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. „დაცული

ტერიტორიების სააგენტოს” დასაფინანსებლად მიიმართა 9.5 ათასი ლარი (გეგმა – 10.0 ათასი ლარი); ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დასაფინანსებლად – 6.9 ათასი ლარი (გეგმა – 6.9 ათასი ლარი); პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 472.9 ათასი ლარი (გეგმა – 472.9 ათასი ლარი); საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს დასაფინანსებლად – 20.1 ათასი ლარი (გეგმა – 20.1 ათასი ლარი); საერთო სასამართლოების დასაფინანსებლად მიიმართა – 2.6 ათასი ლარი (გეგმა – 2.6 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროში: სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დასაფინანსებლად მიიმართა – 13.9 ათასი ლარი (გეგმა – 14.3 ათასი ლარი); ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისო პროექტების დასაფინანსებლად – 170.4 ათასი ლარი (გეგმა – 170.4 ათასი ლარი); ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანების დასაფარავად მიიმართა 182 878.5 ათასი ლარი (გეგმა – 182 882.4 ათასი ლარი); ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს „გრანტის” მუხლით – 9 910.5 ათასი ლარი (გეგმა – 9 910.5 ათასი ლარი); შინაგან საქმეთა სამინისტროს ს.ს.ი.პ. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დასაფინანსებლად მიიმართა – 21.8 ათასი ლარი (გეგმა – 21.8 ათასი ლარი); ენერგეტიკის სამინისტროს ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური აღმშენებლობის პროექტის დასაფინანსებლად მიიმართა – 7.3 ათასი ლარი (გეგმა – 7.3 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის” დასაფინანსებლად მიიმართა – 60.8 ათასი ლარი (გეგმა – 61.9 ათასი ლარი).

“წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის” ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 5 711.2 ათასი ლარი (გეგმა – 5 711.2 ათასი ლარი), რაც გატარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზაციულ კოდზე.

2009 წლის იანვარ-დეკემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.